საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030176220730320

№ 01-131/ო **29 / მარტი / 2020 წ.**

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებით ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, 75-ე მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის მიზნით,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებით ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - ლაბორატორიის ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) მაია ალხაზაშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ,,ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის‘‘ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის მენეჯერი;

ბ) ხათუნა ზახაშვილი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის‘‘ გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი;

გ) გიორგი კამკამიძე - კლინიკა „ნეოლაბი“-ს დირექტორი;

დ) მაია ბუწაშვილი - ინფექციონისტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელობის კვლევის კავშირი“-ს დირექტორი;

ე) ნინო აბესაძე - სს ,,მეგალაბი‘‘-ს სამედიცინო დირექტორი;

ვ) ნინო ბაკურაძე - შპს სამედიცინო ცენტრი ,,ციტო“-ს კლინიკური მენეჯერი;

ზ) ეკატერინე კუპატაძე - შპს ,,აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის‘‘ ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

2. ლაბორატორიის ჯგუფის ძირითადი ფუნქციები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ალგორითმის შემუშავება;

ბ) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) ლაბორატორიული შედეგების ანალიზი საჭიროების შემთხვევაში;

გ) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) ლაბორატორიული დიაგნოსტიკის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლი) შემუშავება და სამინისტროსთვის წარდგენა დასამტკიცებლად;

დ) საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ტრენინგების უზრუნველყოფა.

3. ლაბორატორიის ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ და საქმიანობას წარმართავს ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად.

4. ლაბორატორიის ჯგუფის სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, შეხვედრების ოქმების მომზადება და სხვა სამდივნო ფუნქციების შესრულება დაევალოს ანზორ ჭავჭავაძეს - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის კონსულტანტს, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს.

5. ლაბორატორიის ჯგუფის მუშაობის კოორდინაცია დაევალოს თამარ გაბუნიას - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს.

6. ლაბორატორიის ჯგუფი თავისი საქმიანობის შედეგებზე ანგარიშვალდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინაშე.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე